

# წმ. გაბრიელ ეპისკოპოსის სახელობის წყალტუბოს სასულიერო გიმნაზიის

## მოსწავლეთა საბჭო

### თავი I

#### ზოგადი დებულებანი

- წმიდა გაბრიელ ეპისკოპოსის სახელობის წყალტუბოს სასულიერო გიმნაზიის მოსწავლეთა საბჭო (შემდგომ "საბჭო") არის მოსწავლეთა წარმომადგენლობითი ფორუმი. მისი მიზანია მოზარდი თაობის აქტიური ჩართვა სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობაში, ბავშვებში საკუთარი ღირსების დაცვის, სხვისი პიროვნულობისა და განსხვავებული აზრის პატივისცემის, სხვადასხვა ასაკისა და ინტერესების მქონე ადამიანებთან ურთიერთობის და საკუთარი აზრის გამოხატვის სწორი ფორმის, კულტურისა და უნარ-ჩვევების გამომუშავება.
- საბჭო შედგება გიმნაზიის VII-XII კლასების მოსწავლეების მიერ ერთი სასწავლო წლის ვადით არჩეული წევრებისაგან.
- საბჭოს წევრები აირჩევა კლასებში კონსენსუსის წესით სასწავლო წლის პირველ თვეში. არჩევნებს ატარებს კომისია, რომელიც შედგება კლასის დამრიგებლების და მე-X კლასის მოსწავლეებისაგან. კომისიის თავმჯდომარე აირჩევა მოსწავლეთაგან.
- საბჭოს უფლებამოსილება წყდება ახლადარჩეული საბჭოს პირველი შეკრებისთანავე.
- საბჭოს წევრები სარგებლობენ თანაბარი უფლებამოსილებით და ეკისრებათ სტატუსის შესაბამისი პასუხისმგებლობა.
- საბჭოს საქმიანობის ყველა საკითხს, რომელიც მოწესრიგებული არ არის, დებულებით წყვეტს საბჭო.
- საბჭოს გადაწყვეტილებანი ატარებს რეკომენდაციულ ხასიათს.
- დასახული მიზნების განსახორციელებლად საბჭო ეწევა ახსნა-განმარტებით, საგანმანათლებლო და სხვა საქმიანობას.
- საბჭოს ადგილსამყოფელია წმიდა გაბრიელ ეპისკოპოსის სახელობის წყალტუბოს სასულიერო გიმნაზიის შენობა.

### თავი II

#### საბჭოს პირველი სხდომა

- საბჭოს პირველ სხდომაზე ხსნის და უძღვება საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე.
- საბჭო პირველ სხდომაზე ისმენს თავმჯდომარის მოხსენებას არჩევნების შედეგების, არჩევნების მოწყობის სისწორის, შემოსული საჩივრების, განცხადებებისა და სხვათა შესახებ.
- საბჭო თავისი ფუნქციების განხორციელებას იწყებს მხოლოდ მისი წევრების უფლებამოსილების ცნობისტანავე.
- ახლადარჩეული საბჭო უფლებამოსილების ცნობის შემდეგ პირველსავე სხდომაზე შეიმუშავებს პერსპექტიულ და მიმდინარე სამუშაო გეგმებს.

## თავი III

### საბჭოს სუბიექტები და მათი უფლებამოსილებანი

#### მუხლი I. საბჭოს წევრი

1. საბჭოს წევრის უფლება-მოვალეობანი განისაზღვრება წესდებით.
2. საბჭოს წევრი არის მისი საქმიანობის ძირითადი სუბიექტი, რომელიც თავის უფლებამოსილებას ახორციელებს საბჭოს სხდომაზე.
3. საბჭოს წევრი შეიძლება გახდეს ამ სასწავლებლის მე-VII-XII კლასის მოსწავლე, რომელიც იზიარებს საბჭოს მიზნებს.
4. თითოეული კლასიდან აირჩევა 2 წევრი.
5. კლასის მრავალრიცხოვნობის ან სხვა გონივრული მიზეზის არსებობის შემთხვევაში საბჭოს გადაწყვეტილებით შესაძლებელია კლასისთვის დამატებით მანდატის მინიჭება.
6. საბჭოდან გასვლა ნებაყოფლობითია. წევრობა წყდება საბჭოს ბიუროსთვის წერილობითი განცხადების ჩაბარების დღიდან.
7. საბჭოს წევრის უფლებამოსილების ცნობის ან ვადამდე შეწყვეტის საკითხს წყვეტს საბჭო.
8. საბჭოდან გარიცხვის საფუძველად შეიძლება ჩაითვალოს საბჭოს წესდების დარღვევა ან ისეთი ქმედება, რომელიც საბჭოს აყენებს მორალურ ან ქონებრივ ზარალს.
9. საბჭოს წევრის გამოკლების შემთხვევაში ახალი წევრი აირჩევა იმავე კლასიდან.
10. საბჭოს წევრი უფლებამოსილია:
  - ა) მონაწილეობა მიიღოს საბჭოს სხდომებში, საქმიანობაში;
  - ბ) მიიღოს ინფორმაცია საბჭოს ნებისმიერი საქმიანობის შესახებ;
  - გ) საბჭოს წინაშე დასვას და განიხილოს ნებისმიერი საკითხი რაც ეხება საბჭოს საქმიანობას;
  - დ) მოითხოვოს საბჭოს თანადგომა დაკისრებული მოვალეობების შესასრულებლად.
11. საბჭოს წევრი ვალდებულია:
  - ა) შეასრულოს ამ წესდებით გათვალისწინებული მოთხოვნები;
  - ბ) მონაწილეობა მიიღოს საბჭოს საქმიანობაში;
  - გ) შეასრულოს საბჭოს ხელმძღვანელობის დავალებები.

#### მუხლი II. საბჭოს ბიურო და თავმჯდომარე

1. საბჭოს საქმიანობის ორგანიზაციის მიზნით იქმნება საბჭოს ბიურო.
2. ბიურო შედგება საბჭოს მიერ მაღალი მე-IX-XII კლასებიდან არჩეული სამი წევრისაგან.
3. ბიუროს წევრთაგან საბჭოს მიერ აირჩევა საბჭოს თავმჯდომარე.
4. საბჭოს თავმჯდომარე უძღვება საბჭოს სხდომებს და არის საბჭოს წარმომადგენელი სხვა პირთან ურთიერთობაში.
5. ბიურო წესდებით გათვალისწინებული წესით მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში:

- ა) შეიმუშავეს და საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგენს პერსპექტიულ სამუშაო გეგმას, მიმდინარე სამუშაო გეგმებს, სხდომების დღის წესრიგის პროექტს, რომელსაც ამტკიცებს საბჭო;
- ბ) განიხილავს საბჭოს სხდომაზე გასატან საკითხებს;
- გ) ხელმძღვანელობს საბჭოს.

## თავი IV

### საბჭოს საქმიანობა

#### მუხლი I. საბჭოს სხდომა

1. საბჭოს საბჭოს სხდომა ტარდება თვეში ერთხელ. ბიურო უფლებამოსილია მოიწვიოს რიგგარეშე სხდომა.
2. საბჭოს სხდომა უფლებამოსილია თუ მას ესწრება წევრთა ორი მესამედი მაინც.
3. სხდომის თავმჯდომარე კითხულობს დღის წესრიგს, რომელსაც საბჭო ამტკიცებს დამსწრებთა ხმების უმრავლესობით. შესაძლებელია მოხდეს საკითხთა გადაადგილება.
4. საბჭოს სხდომაზე მოხსენება არ უნდა აღემატებოდეს 10 წუთს, თანამოხსენება 5 წუთს, დასკვნითი სიტყვა 4 წუთს.
5. სხდომის თავმჯდომარე ხსნის და ამთავრებს სხდომას, ადგენს კამათში მონაწილეთა რიგითობას და სიტყვას აძლევს მათ.
6. საბჭოს წესდებაში ცვლილებების შეტანა შესაძლებელია კონსენსუსის წესით.
7. საბჭოს სხდომა შეიძლება იყოს ღია ან დახურული.

#### მუხლი II. ხმის მიცემა

1. საბჭოს წევრი ხმას აძლევს პირადად. დაუშვებელია ხმის უფლების სხვისთვის გადაცემა.
2. თუ შემოვიდა წინადადება კენჭისყრის გადადების შესახებ, მას პირველ რიგში ეყრება კენჭი.
3. საბჭოს სხდომაზე კენჭისყრა არის ღია.
4. საბჭოს წევრი კენჭისყრის დროს თავის ნებას გამოხატავს როგორც მომხრე ან წინააღმდეგი.
5. განსაკუთრებული საკითხების განხილვისას ხმათა უმრავლესობით შესაძლებელია ფარული კენჭისყრის ჩატარება.
6. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტია თავმჯდომარის ხმა.
7. კენჭისყრის შედეგს საბჭოს მოახსენებს ხმის დამთვლელი კომისია.
8. ხმის დამთვლელი კომისია შედგება მე-VII-IX კლასებიდან არჩეული ორი წევრისაგან.